დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქალაქ დუშეთის N2 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნატო ოგანეზოვი

წევრები:

ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ დუშეთის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229319190

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი დუშეთი
ფაქტობრივი მისამართი	აღმაშენებლის ქუჩა N96
საფოსტო ინდექსი	1800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dusheti2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 26 0000396630; 02.04.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 30 აპრილი - 01 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სსიპ ქალაქ დუშეთის N2 საჯარო სკოლა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სსიპ ქალაქ დუშეთის N2 საჯარო სკოლა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სსიპ ქალაქ დუშეთის N2 საჯარო სკოლა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ დუშეთის N2 საჯარო სკოლაში განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ ექსპერტებთან. სკოლაში მკვეთრად იგრძნობოდა საქმიანი გარემო, თანამშრომლობის მაღალი ხარისხი და მოსაზრებების ურთიერთპატივისცემა. ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ასევე, ვიზიტის ფარგლებში მოხდა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკვეთილი მიგნებები, შეჯამების ეტაპზე მიეწოდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ექსპერტების მიგნებები ეფუძნებოდა მოქმედ კანონმდებლობას და/ან სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების უკუკავშირი სკოლის დირექციის მიერ გაზიარებულ იქნა, ვინაიდან მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **700**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***ხარვეზი***

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-	სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებებთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 29 დეკემბრამდე.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შესაბამისად - 2026 წლის 29 დეკემბრამდე.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია სკოლამ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისი ამოცანები/აქტივობები გაწეროს წლების შესაბამისად (და არა ყველა წელზე), მათი პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია სკოლამ თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა) მიღების წესი და პირობები გაწეროს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, განსაზღვროს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს დაავალოს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონით დადგენილი ცნობები (ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ; ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ).
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი	რჩევა: სასურველია სკოლამ პერიოდულად განაახლოს ვებ. გვერდი და დროულად ასახოს როგორც სავალდებულო ინფორმაცია, ისე სიახლეები და ცვლილებები.

	დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
2.1.2.1	*უცხოური ენები*	**რჩევა 1:** სასურველია ყველა კურიკულუმებში (ინგლისური ენა, რუსული ენა, ამერიკათმცოდნეობა, მედია წიგნიერება) იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. **რჩევა 2:** სასურველია არჩევითი საგნის შემთხვევაშიც (ამერიკისმცოდნეობა, მედია წიგნიერება) არსებობდეს პროექტის იდეა. **რჩევა 3:** სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩასწორდეს უცხოური ენების კათედრაზე შემავალი საგნების ჩამონათვალი, არ იყო მითითებული ამერიკისმცოდნეობისა და მედია წიგნიერების შესახებ ინფორმაცია. **რჩევა 4:** არჩევითი საგნების კურიკულუმებში (ამერიკიმცოდნეობა, მედია წიგნიერება) სასურველია მკაფიოდ ჩანდეს სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები და გრძელვადიანი მიზნები.
2.1.2.1	*საბუნებისმეტყველო*	**რჩევა:** სასურველია დაწყებით საფეხურზე შეთანხმებულ იქნას და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი, ასევე

		მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უკვე არსებული კურიკულუმების გადახედვა/გადასინჯვა.
2.1.2.2	*უცხოური ენები*	**რჩევა 1:** ინგლისური, რუსული ენის, მედია წიგნიერებისა და ამერიკისმცოდნეობის კურიკულუმეში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს სახელმძღვანელოს მასალის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში, ასევე ციფრული სხვა რესურსები, საათების რაოდენობა კი ყველა კურიკულუმშია გასათვალისწინებელი. **რჩევა 2: ინგლისური ენა:** მე - 5 კლასის კურიკულუმში სასურველია ჩასწორდეს შემდეგი: ცნებად მოცემულია - ჟანრი, რაც შეცვლილი უნდა იყოს ცნება ტექსტით. **რჩევა 3**: მე - 2 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში საჭიროა ცნებების სწორად ფორმულირება შემდეგნაირად: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება. **რჩევა 4:** მე - 4 კლასის კურიკულუმში ცნება კულტურათა დიალოგი სასურველია ამოღებული იყოს, ეს ცნება შემოდის მე - 5 კლასიდან. **რჩევა 5**; მე -5 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში სასურველი და საჭიროა ჩასწორდეს ცნებები შემდეგი ფორმულირებით: ტექსი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება, კულტურათა დიალოგი. **რჩევა 6:** ასეევ სასურველია მე - 6 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში დამატებული იქნეს ცნება კულტურათა დიალოგი. **რჩევა 7:** სასურველია დაწყებით საფეხურზე შემოთავაზებული შემოქმედებითი პროდუქტის იდეები იყოს ჩაშლილი დავალების პირობები.

		რჩევა 8: მე - 7 და მე - 8 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში სასურველია ჩასწორდეს ცნებების ნაწილი შემდეგნაირად: ჟანრი, ენობრივი საშუალება, სამეტყველო ქმედება კულტურათა დიალოგი. **რჩევა 9:** სასურველია ამერიკისმცოდნეობისა და მედია წიგნიერების კურიკულუმში კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებები უფრო დაკონკრეტებული და ჩაშლილი იყოს.
2.1.2.2	*საზოგადოებრივი მეცნიერებები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	სასურველია: • კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება; • კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; • ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; • თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები; • კურიკულუმებში მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება; • კურიკულუმებში მიეთითოს ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა; არჩევით საგანში "გარემო და მდგრადი განვითარება" დაზუსტდეს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; ასევე, მიეთითოს შესაბამისი რესურსი, რასაც ეყრდნობა აღნიშნული საგნის კურიკულუმი.
2.1.2.3.	*უცხოური ენები*	**რჩევა 1:** სასურველია ამერიკისმცოდნეობისა და მედია წიგნიერების კურიკულუმში მოცემული იყოს რესურსების ჩამონათვალი,

		რჩევა 2: სასურველია ინგლისური ენისა და რუსული ენის კურიკულუმში, სამივე საფეხურისათვის რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, (ზოგან არ არის, სადაც არის ბმული არ იხსნება) ასევე დაკონკრეტებული იყოს ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.
2.1.2.3	*საბუნებისმეტყველო*	**რჩევა:** სასურველია, ლაბორატორიაში სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისას მასწავლებლებმა აწარმოონ შესაბამისი დოკუმენტაცია. (გეგმა, ოქმი, ანგარიში, შეფასება/თვითშეფასება)
2.1.2.3	*სახელმწიფო ენა*	**რჩევა:** სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ყველა კლასის კურიკულუმების შესაბამის გრაფაში ასახონ დამხმარე რესურსები, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში.
2.1.2.5	*მათემატიკა*	**რჩევა**: სასურველია, შეფასების რუბრიკები რაც სკოლამ ცალკე გადმოაგზავნა გამოიყენონ როგორც შემაჯამებელ დავალებებში ასევე შემოქმედებითი ტიპის დავალებებში.
ინდიკატორი 2.2.2.1.	*უცხოური ენები*	**რჩევა 1**: სასურველია მედია წიგნიერებისა და ამერიკისმცოდნეობის კურიკულუმში მოცემული იყოს რესურსების ჩამონათვალი. **რჩეევა 2:** სასურველია სამივე საფეხურზე უცხოური ენების კურიკულუმში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, ასევე დაკონკრეტებული იყოს ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.
2.2.2.1.	*საზოგადოებრივი მეცნიერებები (საშუალ საფეხური)*	სასურველია, არჩევით საგანში "გარემო და მდგრადი განვითარება" დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რის მიხედვითაც მიმდინარეობს სკოლაში აღნიშნული საგნის სწავლება.

2.2.2.2	*სახელმწიფო ენა*	**რჩევა:** კურიკულუმების სრულყოფისთვის, სასურველია, სკოლამ ყველა კლასის კურიკულუმში გაწეროს დამხმარე ვალიდური საგანმანათლებლო რესურსი, რომელთაც იყენებს სასწავლო პროცესში.
2.2.2.4	*უცხოური ენები*	**უცხოური ენები** **რჩევა 1: ინგლისური ენა** სასურველია მე - 4 კლასის ინდ. გეგმაში ჩანდეს კონკრეტული აქტივობები და დროის რა პერიოდებში სრულდება დასახული მოკლე ვადიანი მიზნები. მე - 5 კლასის ინდ გეგმაში სასურველია ერთ თემაზე მეტი იქნეს შეტანილი განსაზღვრული დროის მითითებით. მე - 12 კლასის ინდ. გეგმაში ცნება ტექსტი სასურველია შეცვლილი იყოს ცნება ჟანრით. **რჩევა 2: რუსული ენა**; სასურველია მე - 5 და მე - 7 კლასის ინდ. გეგმებში მოცემული იყოს კონკრეტული აქტივობები და აქტივობების შესასრულებლად კონკრეტული დროის პერიოდი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისიაა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარითა და სისტემური აკადემიური ცოდნით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდა, რომელიც მზად არის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების უწყვეტი განვითარება. სკოლის ხედვას წარმოადგენს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით, მშობელთა აქტიური ჩართულობით, შესაბამისი გარემოს შექმნით უზრუნველყოს პიროვნული, პატრიოტული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისმცემელი, ზოგადსაკაცობრიო, ზნეობრივი და მორალური ღირებულებების მქონე, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული კონკურენტუნარიანი, გლობალურად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდა. შესაბამისად, დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მისია და ხედვა სრულად ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სკოლა შესაბამისი გარემოს შექმნით უზრუნველყოს პიროვნული, პატრიოტული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისმცემელი მოქალაქის აღზრდას, რაც დეკლარირებულია სკოლის მიერ შემუშავებული ხედვით. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, ემოციურ და სოციალური უნარების განვითარებას. ქმნის გარემოს, სადაც თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს უსაფრთხოდ, აქვს თვითგამოხატვის თავისუფლება და მათ აზრებს პატივის სცემენ. სასკოლო საზოგადოება ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა დემოკრატიულობა, გუნდურობა, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა და პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლაში შექმნილია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც ადგენს სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის დირექტორის მოადგილე.

სკოლას მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მასზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები სხვადასხვა კათედრიდან, მშობელი და მოსწავლე - წარმომადგენელი მოსწავლეთა თვითმართველობიდან. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად დასტურდება, რომ ჯგუფის წევრები მოქმედებდნენ სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. თავდაპირველად ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით დაიხვეწა და ჩამოყალიბდა საბოლოო რედაქციით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების ჩართულობიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავების ყველა ეტაპზე ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული პროცესებში, ჯგუფის წევრებს აწოდებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა სკოლის მისიის, ხედვისა, ღირებულებების შემუშავებისას. მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დამტკიცებულ დოკუმენტს ისინი გაეცვნენ მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შემდეგ, მისი გაცნობა მოხდა სასკოლო საზოგადოებისათვის. დოკუმენტი გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას და ატირთულია სკოლის ვებ. გვერდზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის ფილოსოფია საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა - სსიპ - ქალაქ დუშეთის N2 საჯარო სკოლა, რომელიც შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სკოლის ვებ. გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მონაწილეობითი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, სადაც ჩართული არიან როგორც მასწავლებლები და ადმინისტრაცია, ასევე მშობლები და მოსწავლეები. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები სხვადასხვა კათედრიდან, მშობელი და მოსწავლე - წარმომადგენელი მოსწავლეთა თვითმართველობიდან. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, სამუშაო ჯგუფმა პროექტი გააცნო სასკოლო საზოგადოებას და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა გეგმების საბოლოო ვერსია.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს ასევე სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს უწყვეტ განვითარებასა და საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი ციკლური დოკუმენტი. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას) და მოიცავს შვიდ სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც თავის მხრივ იყოფა შესაბამის ამოცანებად, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების ეფექტიან მიღწევას. ციკლური ხასიათი საშუალებას იძლევა, რომ პერიოდული შეფასების შედეგად გეგმა დაიხვეწოს საჭიროებების შესაბამისად.

სკოლას ყველა სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანების შესრულების ვადები გაწერილი აქვს 7 წელზე. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია სკოლამ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისი ამოცანები/აქტივობები გაწეროს წლების შესაბამისად (და არა ყველა წელზე), მათი პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლის ერთწლიანი გეგმის განხილვა მოხდა სასკოლო საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. გეგმა გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან და მოიცავს სკოლის სკოლის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების

შესრულებისათვის საჭირო ამოცანებსა და შესაბამის აქტივობებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებული პასუხისმგებელი პირების მიერ სემესტრულად მომზადებულ ანგარიშებს. სწორედ ერთწლიანი სამოქმედო გგემის ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. თითოეული აქტივობისთვის დადგენილია კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, რაც შესაძლებლობას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მათი შესრულების ხარისხი და პროგრესი. გეგმაში გაწერილია რეალისტური ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია როგორც სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან. განსაზღვრულია ასევე შესაბამისი რესურსები, პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესების მართვასა და ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამოქმედო გეგმის ანგარიში.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. სკოლას განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული საშუალება. მათ შორის პირველი საშუალების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგისათვის, სკოლას დრაივზე აქვს გაზიარებული სამოქმედო გეგმა და საქაღალდე, რომელშიც გროვდება პასუხისმგებელი პირების ანგარიშები და შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნულ საქაღალდეზე წვდომა აქვთ სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომლებიც ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებენ. მეორე ალტერნატივის შესაბამისად, სკოლამ შესაძლოა გამოიყენოს სემესტრული ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარადგენენ წერილობით ანგარიშსა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ამსახველ შესაბამის მტკიცებულებებს. ანგარიშების წარდგენის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან პასუხისმგებელი პირები. აღნიშნულ შეხვედრაზე ხდება სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვა და თითოეულ აქტივობაზე შესაბამისი სტატუსის მინიჭება: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, სკოლის დირექციას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული აქვს 2024 წელს, ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განხორციელებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი. რაც შეეხება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს, სკოლა მონიტორინგს ახორციელებს ყოველი სემესტრის ბოლოს. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს.
სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულების შეჯამება და ფასდება გეგმის განხორციელების შედეგები. მონიტორინგის პროცესში პასუხისმგებელ პირებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული სამუშაო ჯგუფის წევრები.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის ვებგვერდზე საჯაროდ არის განთავსებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში, გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს. შეფასების შედეგების ანალიზი კი თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლას გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია შემოდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის. სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განახორციელა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება და შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაამტკიცა მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- სკოლის ვებ. გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელზეც ასახულია სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები და სამუშაო პოზიციები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მჩეველთა საბჭო. რაც შეეხება დირექციას, ის შედგება დირექტორისაგან, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლაში დასაქმებულია ასევე მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ინფორმაციული მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ფსიქოლოგი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ასისტენტები, 2 დარაჯი და 2 დამრიგებელი. საგნის მასწავლებლები ერთიანდებიან სკოლაში არსებულ რვა საგნობრივ კათედრაზე.

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის საშტატო ნუსხით.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით - სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სკოლაში მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეულისა და სკოლაში არსებული ყველა პოზიციის შესაბამის ფუნქციებს.

სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურული სქემით, თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაღვრელი დოკუმენტით, ნათლად იკვეთება სუბორდინაცია, რამდენადაც სკოლას განსაზღვრული აქვს ასევე თუ ვის ექვემდებარება და ვის მიმართ არის ანგარიშვალდებული ამა თუ იმ პოზიციაზე დასაქმებული პირი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას, რამდენადაც დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული ყველა პირის სამუშაო აღწერილობა.
გარდა ამისა, სკოლა აღნიშნული დოკუმენტი აერთიანებს სკოლაში მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას, მათი მუშაობის წესს, საქმიანობასა და კომპეტენციას.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები. მაგალითისათვის, ერთ-ერთი თანამშრომელი განსაზღვრულია მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად. საინფორმაციო მენეჯერი კი განსაზღვრულია საერთო სივრცეების მოწყობასა და e-school-ის ბაზაში მონაცემთა ასახვაზე პასუხისმგებელ პირად. აღნიშნული ფუნქციების დაკისრება განხორციელდა სკოლის დირექტორის ბრძანებებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში თანამშრომელთა ფუნქციები გამიჯნულია და უფლებამოსილებები დელეგირებულია თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურული სქემა;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- საერთო სივრცეების მოწყობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- e-school-ის ბაზაში მონაცემთა ასახვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა და შემუშავებული აქვს

ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკას. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პროცესების სკოლის ფილოსოფიასთან შესაბამისობით ეფექტიანად წარმართვა და ამავდროულად შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებსა და მეთოდებს, პროფესიულ განვითარებას, თასაქმებულთა მოტივაციის გაზრდას, თანამშრომელთა ადაპტაციის საკითხს და სხვა.

სკოლაში სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის მიზნით, სკოლას აწარმოებს პერსონალის მიერ შესრლებული სამუშაოს შეფასებას სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, მონიტორინგისა და კათედრის წევრების ურთიერთდასწრების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას.
გარდა კათედრის წევრების ურთიერთდასწრებისა, სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებელთა მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, სკოლის ადამიანური რესურსი საშუალებას იძლევა საათების გადანაწილება მოხდეს საგნობრივ კათედრაზე. ხოლო თუ სკოლას რომელიმე მასწავლებლის ჩანაცვლება სჭირდება ხანგრძლივი პერიოდით და საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეუძლებელია საათები განაწილდეს კათედრის წევრებს შორის, ხდება დროებით თანამშრომლის მიღება.

გარდა ამისა, სკოლა მუდმივად ცდილობს პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოს თანამშრომელთა განვითარებისათვის საჭირო ტრენინგების ჩატარება და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვისა და თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა ან/და ღია კონკურსით. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა) მიღება ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით, თუმცა, აღნიშნული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით და არც სხვა შიდა დოკუმენტით სკოლას არ აქვს განსაზღვრული.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამედიცინო პერსონალის შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ შექმნილი კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის მარტის N41/ნ-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავს დასაქმებული ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. თუმცა, სკოლას არც სამედიცინო პერსონალის და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირების შერჩევის წესი არ აქვს განსაზღვრული რაიმე შიდა დოკუმენტით.

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის განსაზღვრავს კონკრეტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. თანამშრომელთა პირადი საქმეების შემოწმებით კი დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ კანონმდებლობითა და სკოლის მეირ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არც შინაგანაწესით და არც სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით არ აქვს გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული, რომ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე სკოლა კანდიდატებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომელთა პირადი საქმეების შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლის ყველა თანამშრომლის პირად საქმეში ინახება ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლამ თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა) მიღების წესი და პირობები გაწეროს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, განსაზღვროს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს დაავალოს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონით დადგენილი ცნობები (ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ; ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ).**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები მათი სტატუსების შესაბამისად.

კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ ასევე სკოლის მიერ შერჩეული, სპეციალურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები და სკოლის ექიმი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მათი შერჩევა განხორციელდა კანონით დადგენილი წესით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა. მასწავლებელთა გუნდური მუშაობა ნათლად ჩანს საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესში. ისინი ერთად განიხილავენ და გეგმავენ ურთიერთდასწრებას, მსჯელობენ სწავლების სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთამენთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ. თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესებისა და ორგანიზაციული საკითხების განხილვის პროცესებში.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მასწავლებლები არიან ისგ ჯგუფის წევრები და შესაბამისად, ჩართულნი არიან მოსწავლეთათვის ინდ. გეგმების შემუშავებაში. ისინი ერთობლივად ადგენენ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულ გეგმას, ირჩევენ აქტივობებს და რესურსებს.
გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ვიზიტის დროსაც.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა მოტივაციას, რაც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისკენ. გარდა ამისა, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, წახალისების მექანიზმები სკოლას გათვალისწინებული აქვს შინაგანაწესითაც. მათ შორის არის მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა მიერ სამუშაოს მაღალი ხარისხით შესრულების საკითხსა და მათ წარმატებულ მიღწევებს. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომლის საშუალებითაც აზიარებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წარმატების მაგალითებს. აქტიური და წარმატებული მასწავლებლების დაჯილდოვება ძირითადად ხდება სიგელითა და დიპლომებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- კათედრების ოქმები;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება. ამისათვის სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას, რაშიც მოიაზრება ტრენინგები, ვებინარები, სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა და ა.შ.

ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით, სკოლის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შესაბამის ამოცანებსა და აქტივობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საშუალებით. ასევე აქტირუად მუშაობენ კათედრები მუდმივი პროფესიული განვითარების მიზნით. კათედრებს აქვთ ურთიერთდასწრების გამოცდილება. პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ასევე კითხვარები.

სკოლის თანამშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების საკითხი. დირექცია მუდმივად ცდილობს თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში. სკოლას აქვს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გამოცდილებაც. მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე სკოლის თანამშრომლობა სხვა სკოლებთან პროფესიული ზრდისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

თანამშრომელთა საჭიეროებების კვლევისა და მისი ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის

მიზნობრივი განვითარების პროცესს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა საჭიროებების კვლევას, და კვლევის ანალიზის საფუძველზე, თანამშრომელთათვის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას. სკოლაში აქტიურად მუშაობს ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გასაუბრებით დადგინდა, რომ ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება საგაკვეთილო პროცესს. საჭორებიდან გამომდინარე მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაციები და იგეგმება დამატებითი აქტივობები. მათ შორის, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების შეთავაზება. ურთიერთდასწრება შესაძლებელია დაიგეგმოს ასევე გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით სკოლაში ტარდება შეხვედრები, რომელზეც პედაგოგები ერთად განიხილავენ კარიერული ზრდისთვის საჭირო აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც მასწავლებლები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რასაც ითვალისწინებენ შემდგომ საქმიანობაში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა განსაკუთებით ზრუნავს ახალი თანამშრომლების კარიერულ ზრდაზე. მაგალითისათვის, სკოლამ უზრუნველყო ახლად დასაქმებული ბიბლიოთეკარისათვის შესაბამისი კურსების შეთავაზება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. სკოლა ზრუნავს, რომ მათ მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირებული წევრი.

დასაქმებულის ადაპტაციის პროცესს ხელს უწყობენ დირექტორის მოადგილე და საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეები. ისინი ახალ თანამშრომლებს წარუდგენენ სკოლის კოლექტივს, აცნობენ სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, მათ პირად უფლება-მოვალეობებსა და

სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე ათვალიერებინებენ სკოლის შენობას და ამატებენ მათ ყველა საკომუნიკაციო ჯგუფში. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის საკითხი სკოლას გათვალისწინებული აქვს მათ მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მხრიდან წახალისებულია კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და მასწავლებელთა სახლთან. სკოლის ადმინისტრაცია თანამშრომლებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას დაგეგმილ სავალდებულო თუ არასავალდებულო ტრენინგების შესახებ. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან სამუშაო შეხვედრებში და ვორქშოფებში. ფასიანი ტრენინგების გავლის შემთხვევაში, მასწავლებლები ცდილობენ სიახლეები გაუზიარონ დანარჩენ კოლეგებსაც, რისთვისაც სკოლაში მართავენ შეხვედრებს და უზიარებენ საჭირო რესურსებს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წახალისების მექანიზმებს ვხვდებით სკოლის შინაგანაწესში, რომლის შესაბამისადაც, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს თანამშრომელთა წახალისებას თუნდაც სიგელების საშუალებით და ზეპირსიტყვიერად, მადლობის გამოცხადებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- თანამშრომელთა სერტიფიკატები და ცნობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება.

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, სკოლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, რისთვისაც გაწერილი აქვს შესაბამისი ამოცანები და მიზნის მიღწევის შესაბამისი აქტივობები. მათ შორის, ახალი პროგრამების

შემუშავება/დანერგვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განცორციელება.

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების შეფასებას, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც დამრიგებლები, კათედრები, დირექტორის მოადგილე ამზადებენ ანგარიშებს, რაც გამოიყენება გასული სასწავლო წლის შეფასებისათვის. შედეგების ანალიზის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების შესაბამისად. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მათ შორის, სკოლა განსაზღვრავს მმართველობით ერთეულებს, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სკოლის მართვას და პასუხისმგებელი არიან სკოლაში ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვან შესრულებაზე. სკოლის ძირითადი პროცესებია ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება, უსაფრთხო და გამართული სასწავლო პროცესი, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგზარდობის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება და ფინანსური მართვა. რაც შეეხება სკოლის დამხმარე პროცესებს, ის მოიაზრებს უსაფრთხოების წესების დაცვასა და მონიტორინგს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და მონიტორინგს, სასწავლო რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, გეგმაზომიერად შევსებასა და განახლებას, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოპოვება-განკარგვას, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების საკითხს, კვების პუნქტის ფუნქციონირებასა და პროფესიული განათლების ხელშეწყობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

თანამშრომლების, მოსწავლეებისა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის

პრინციპები, საჩივრის წარდგენისა და მისი განხილვის წესი, განხილვის ვადები და გადაწყვეტილების მიღების წესი. დოკუმენტი ადგენს ასევე საჩივრის განხილვის წესს დისციპლინური წარმოებისას. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, დოკუმენტით განსაზღვრული შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესითაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლა თანამშრომლების/მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს შინაგანაწესით, სადაც გაწერილია როგორც პერსონალის, ისე მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. გარდა ამისა, სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფლება/მოვალეობების ჩამონათვალს. იგივე შეიძლება ითქვას სკოლის პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც თავის მხრივ შეიცავს დასაქმებული პირის უფლება/მოვალეობების საკითხს. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ წესებთან ერთად აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებსაც. სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლის ფოიეში გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს.
აღნიშნული წესი ადგენს სკოლის ვალდებულებას, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა). ასევე, მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვით, საზოგადოების დაინტერესებულ წევრს მისთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი). სკოლა სისტემატურად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. მართვის პროცესებთან დაკავშირებით აქტუალური საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და ასევე მშობელთა კრების ფარგლებში.
სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე (პერსონალური მონაცემების დაცვით, ზოგადი მიმოხილვა), ონლაინ ფორმატში სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, ელექტრონული ჟურნალით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონითა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში დამკვიდრებულია ასევე პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც, მშობლებს კონკრეტულ დღეს შესაძლებლობა აქვთ მივიდნენ სკოლაში და მათთვის საინტერესო თემებზე გაესაუბრონ როგორც სკოლის დირექციის წევრებს, ისე საგნის მასწავლებლებსა თუ კლასის დამრიგებელს.

სკოლა მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს კომუკაციის სხვადასხვა საშუალებებს: ელ-ფოსტა, e-Flow-ს ელექტრონული სისტემა, სოციალური მედიის არხები, საინფორმაციო დაფა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელების ჯგუფებს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია აღნიშნული საშუალებით გაეცნოს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და იმავდროულად უკუკავშირის მიღების შესაძლებლობასაც იძლევა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და კათედრები. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანია დემოკრატიული გარემოს შექმნა. სასკოლო საზოგადოების წევრების კოლეგიალური ორგანოების საშუალებით სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა განაპირობებს სკოლის წარმატებას. შესაბამისად, სკოლა ხელს უწყობს კოლეგიალური ორგანოების აქტიურ ფუნქციონირებას. უნდა აღინიშნოს მშობელთა ჩართულობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. თითოეული საფეხურის ერთი მშობელი არის სამეურვეო საბჭოს წევრი, წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. ისინი მონაწილეობენ როგორც სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების, ისე სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესებში. გარდა ამისა, თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრები. სკოლაში საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნული ორგანოების ფუნქციონირება კი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების თანაბარ ჩართულობას, რაც გამოიხატება შეხვედრებზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებითა და ინიციატივების გამოვლენით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (დისციპლინურ კომიტეტში მშობელი წევრების წარდგენასთან დაკავშირებით);
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი;
- საინფორმაციო დაფები;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა მოქმედებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, რომლის მიზანია სკოლაში ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მისთვის მზადყოფნა.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები და სკოლის დარაჯები. (სკოლას ჰყავს 2 მანდატური და 2 დარაჯი). სკოლა აღჭურვილია 58 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერით, რომლითაც ხდება როგორც სკოლის შიდა, ისე გარე პერიმეტრის მეთვალყურეობა. სკოლას ჰყავს ასევე მორიგე მასწავლებლები, რომლებიც მანდატურებთან ერთად უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას როგორც შენობაში, ისე სკოლის გარე ტერიტორიაზე - ეზოში.

სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა, აქვს ცეცხლმაქრები და სხვა შესაბამისი საჭირო ინვენტარი. სკოლა არის ახლად რეაბილიტირებული, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს მოპოვებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
სკოლას აქვს მიმართვა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნასა და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებულ სკოლა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას მოიპოვებს ექნება 2026 წლის 29 დეკემბრამდე.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებებთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 29 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური ექიმი. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები. ექიმის კაბინეტი უზრუნველყოფილია ასევე ყველა საჭირო მედიკამენტითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვის პრივატულობა, რამდენადაც სამედიცინო ტახტი სპეციალური შირმით არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისაგან.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლაში ჩამოყალიბებულია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, დამრიგებლების საშუალებით მოსწავლეებსა და მშობლების აცნობს მათ უფლებებსა და სკოლაში მოქმედ წესებს.

სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, მასწავლებლები ყოველდღიურად აკონტროლებენ შენობის ყველა სართულს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას გამოკრული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112). ასევე გამოკრულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.

გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც აწარმოებს შესაბამის რეესტრს და აკონტროლებს სკოლაში უცხო პირთა შემოსვლასა და გადაადგილებას.

ამასთანავე, სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად მუშაობს და მოსწავლეებისთვის გეგმავს საგანმანათლებლო-საინფორმაციო აქტივობებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, ნაადრევი ქორწინება თუ ჯანსაღი წესი. სკოლას ჰყავს ასევე ფსიქოლოგი, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში აქტიურად არის ჩართული მოსწავლეებისათვის მათი ასაკისა და ინტერესების შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება ხდება ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრთან. მათი ცხელი ხაზის ნომერი სკოლას გამოკრული აქვს სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

გარდა ამისა,სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესი და განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის

არსებობის შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც ასაკის შესაბამისად მუშაობენ ბულინგისა და მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთათვის ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სუფთა და მოწესრიგებულია როგორც საკლასო ოთახები, ისე დერეფნები, სველი წერტილები და სკოლის ეზო. ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები და დერეფნები, პერიოდულად კი ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონით დადგენილი წესითა და მოცულობით. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან საჭიროების შემთხვევაში, შიფრავს მონაცემებს.

სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო პერსონალური მონაცემების ოფიცრად განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლის ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ლიცენზირებული პროგრამებითა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებული ინტერნეტით.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვისთვის, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, აგრეთვე, სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) დაცულია და ინახება საქმისმწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით.

სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან.

სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ესქულის ბაზაში მონაცემთა ასახვაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. ამ მიმართულებით მუშაობას აქტიურად წარმართავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების პრევენციისათვის. სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარმოადგენს ანგარიშს სასკოლო პერიოდის განმავლობაში, რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- რეფერირებაზე პასუსიხსმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- რეფერირების წესი;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- სამედიცინო დამხარების აღმოჩენის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა არის 2 სართულიანი, რომელიც არის ახლად რეაბილიტირებული. რეაბილიტაციის შემდგომ, სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი განახლდა 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებისას, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ რეაბილიტაციის მოხდა შენობის

კონფიგურაცია, სკოლა საჭიროებს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებას. შესაბამისობის გეგმით სკოლამ გაწერა, რომ განახლებული ამონაწერის მოპოვებას შეძლებს 2026 წლის 29 დეკემბრამდე.
სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ასაკზე მორგებული ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფებით. ლაბორატორიული ოთახებში განთავსებულია საჭირო ინვენტარი.
სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების გაცნობით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს გაამდიდროს წიგნადო ფონდი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.
სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და IT კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სკოლის კონტიგენტისათვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. სკოლას ასევე აქვს საკმარისი რაოდენობის პრინტერები. მოსწავლეებთან შეხვედრისას, მათ დააფიქსირეს სურვილი, რომ სკოლას ჰქონდეს მეტი პროექტორი. ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისა და თანამშრომლისათვის. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.
აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ სკოლა სრულად ადაპტირებულია. სკოლას აქვს ლიფტი, პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო. აქვს რამდენიმე შემოსასვლელი/გასასვლელი კარი. სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, მანდატურის ოთახი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ღია სპორტული მოედანი.
სკოლაში ყოველწლიურად ტარდება გეგმიური ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობით საჭირო სასკოლო ინვენტარი.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შესაბამისად - 2026 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითადი პრინციპი სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობაა მოსწავლეებისა და თანამშომლებისათვის. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საერთო სარგებლობის მოწყობაზე პასუხისმგებელი პირი.
სკოლაში არსებულ საერთო სარგებლობის სივრცეებია რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლის შიდა და გარე მოედნები.

გარდა ამისა, სკოლას სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილი აქვს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილების აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

რაც შეეხება სპორტულ დარბაზს, ლაბორატორიებსა და კომპიუტერულ ლაბორატორიას, ისინი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხრიდან სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება). ბიბლიოთეკაში ინახება როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ისე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, საკითხავი, სასკოლო საგნობრივი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურა და მასალები. ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. სამკითხველო დარბაზი მოწესრიგებულია და ქმნის მყუდრო და მშვიდ გარემოს. ბიბლიოთეკის დათვალიერებით დადგინდა, რომ წიგნადი ფონდი სრულყოფილად არის დამუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად და წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების ყველა აუცილებელი პირობა. სასკოლო გარემო ადაპტირებულია. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი და დამონტაჟებულია ლიფტი. შესაბამისად, ყველა საერთო სარგებლობის სივრცე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, IT კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს ასევე ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და რესურსით.

სკოლას შემუშავებული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რომელიც მოიცავს სკოლაში მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების, პირველადი მართვისა და სტატუსის მინიჭებისა თუ მოხსნის საკითხებს. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები. სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით, სკოლას დასაქმებული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლისთვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას. სკოლის ინფრასტრუქტურა კი ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტ სარბაზი, IT კაბინეტი ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. საკლასო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. სკოლის დერეფანსა და საკლასო ოთახებში განთავსებულია ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები (მოსწავლეთა ნამუშევრები), რაც თავის მხრივ მამოტივირებელ გარემოს ქმნის მოსწავლეთათვის და ამავდროულად ხელს უწყობს სკოლას სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- საერთო სარგებლობის სივრცის მოწყობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება);
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 28 კომპიუტერი. დამატებით სკოლას აქვს 37 ლეპტოპი, საკმარისი რაოდენობით პრინტერი და 2 პროექტორი. საკლასო ოთახები და კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით.

სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარიმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი სკოლაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში ფუნქციონირებს IT კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული მოსწავლეთა რაოდებისათვის საკმარისი კომპიუტერებითა და მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიზნობრიობის გათვალისწინებით, შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. მოსწავლეებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9-დან საღამოს 17 საათამდე. სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა, საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის მასალები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებასა და დოკუმენტების დამუშავებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას და სხვა. სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით. შესაბამისად, სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად.

სკოლაში ვხვდებით ორი სახის ბრძანებებს - საერთო და საკადრო ბრძანებებს. სკოლა შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით. სკოლა აწარმოებს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა, შეფასება, მშობლებთან კომუნიკაცია. ელექტრონულ ჟურნალში შესაძლებელია ასევე სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების შესახებ ინფორმაციის შემოწმება.

გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას - dusheti2@mes.gov.ge და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის eSchool-ის ელექტრონული ბაზა, რომელშიც ყველა სავალდებულო ველი შევსებულია სრულყოფილად. აღნიშნულ სისტემის საშუალებით ხდება ასევე მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ფიქსირდება სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. E-School-ის სისტემაში სკოლა ასევე განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, ახორციელებს საფეხურის დაძლევას და მოსწავლეთა ამორიცხვას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბარათი განახლებულია. სრულყოფილად არის შევსებული ასევე მასწავლებელთა პროფილები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კომუნიკაციას სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშუალებით ამყარებს.

სკოლას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურები. შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;

- სარეგისტრაციო ჟურნალი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სკოლის ვებგვერდს, სოციალური გვერდსა და დახურულ ჯგუფებს, რომელთა საშუალებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ასევე კითხვით მიმართონ სკოლას ელექტრონულ ფოსტაზე. სასკოლო სივრცეში, თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული საინფორმაციო დაფა, რომელზეც რეგულარულად ხდება სიახლეების განთავსება.

გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, წარმატებული აქტივობებისა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განსათავსებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლითაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმატი და საშუალებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებებისა და პროექტებისა ამსახველი ფოტომასალით. სკოლის დირექცია პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე და საჭიროების შემთხვევაში, მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სკოლის სოციალური ქსელის გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ეფექტურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოებასა და ზოგადად დაინტერესებულ პირებთან უწყვეტი და სწრაფი კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს კი იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას აქვს მზაობა, მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში.

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში ქვეყნდება თითქმის ყოველდღიური ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, სადაც ჩართულია კომენტარების ველი და ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება შეკითხვებითა თუ ინიციატივებით მიმართოს სკოლას. სკოლა მზაობას გამოთქვამს, განიხილონ მშობელთა ნებისმიერი ინიციატივა და შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენონ მიღებული უკუკავშირი სკოლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისად ყველა ინფორმაცია სკოლის ვებ გვერდზე - https://skolebi.emis.ge/. განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი, https://skolebi.emis.ge/, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამები, ინფრასტრუქტურა და ფინანსები. ასევე, ინფორმაცია მოსწავლის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები. სკოლას ვებ. გვერდზე განთავსებული აქვს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, თუმცა საიტზე არ აქვს ატვირთული გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

რჩევა: სასურველია სკოლამ პერიოდულად განაახლოს ვებ. გვერდი და დროულად ასახოს როგორც სავალდებულო ინფორმაცია, ისე სიახლეები და ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში;
- Eflow, email.mes.gov.ge;
- https://skolebi.emis.ge/,

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, თუმცა სკოლას აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი იჯარით გაცემული ფართებიდან.
სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კანონის დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს.

გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები მათ საჭიროებებს აცნობენ დირექციას. დირექტორი ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს, ადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების პროცესს.

გარდა ამისა, სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს დირექტორი, სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა, რომლის საფუძველზეც მოწმდება ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენას შესაბამისი უწყებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბიუჯეტის გათვლისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინაროებს შეუფერხებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- სკოლის ბიუჯეტი;
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- იჯარის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის დაცვის დებულება. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი და წახალისების ფორმები. შინაგანაწესი სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზეა წარმოდგენილი, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები აქტიურად აცნობენ მათ მოსწავლეთა წესებსა და უფლებების შესახებ, სადამრიგებლო პროგრამები ითვალისწინებს დისციპლინას, მოსწავლეთა ჩართულობით შემუშავებულ ქცევის წესებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სკოლას მშობლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რაც არეგულირებს სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობას მოსწავლის ინტერესების დაცვის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის ფარგლებში ბულინგის თემა აქტიურად მუშავდება. სკოლას დამტკიცებული აქვს რეფერირებისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციები არის გამჭვირვალე, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია შინაგანაწესი. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია ვებ-გვერდზე. სასწავლო წლის დაწყებისას კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ მშობელთა კრებაზე სასკოლო რეგულაციებს/მოსწავლეთა ქცევის წესებს,რომლის დაცვა სავალდებულოა. სასკოლო საზოგადოება აქტიურად იცნობს მოსწავლის კანონით გათვალისწინებულ უფლებებს. ამრიგად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას თითოეულ მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. გაფორმებამდე მშობელი ეცნობა ხელშეკრულების პირობებს. გაფორმებული ხელშეკრულების ორივე მხრიდან ხელმოწერილი ერთი პირი გადაეცემა მშობელს, მეორე რჩება სკოლაში. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სკოლის საქმიანობას, მხარეთა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს. ამრიგად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- სამოქალაქო კლუბის დოკუმენტაცია.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას 2023 წლის 3 სექტემბრის N102ა ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, რაც არეგულირებს სკოლაში აღნიშნულ მიმართულებას. ამრიგად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება დირექტორის ინდივიდულურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დროს ფორმდება მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს სტატუსის შეწყვეტამდე/მოსწავლის ამორიცხვამდე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის დაცვის დებულება. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილზეა წარმოდგენილი, ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას მომსახურების სახეების, პირობების,

პროგრამების შესახებ მშობელთა კრებებზე შეხვედრების დროს და სოციალური ქსელის საშუალებით. ამრიგად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლისთვის საჭირო ინფორმაციის განთავსებას სკოლის ვებ გვერდსა და სოციალურ გვერდზე სადაც ხდება ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება. ასევე, სკოლის შესახებ სიახლეებს მოსწავლეები და მათი მშობლები ეცნობიან მშობელთა კრებებიდან. ამრიგად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლის შინაგანაწესი.
- საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლის,პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი;
- ბრძანება სტატუსის დაძლევის შესახებ;
- ბრძანება ამორიცხვის შესახებ;
- ბრძანება ჩარიცხვის შესახებ;
- ბრძანება შეჩერების შესახებ;
- ბრძანება აღდგენის შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულ და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის ვალდებულებას იღებს სკოლა და კლასის დამრიგებელი, რომელიც მოსწავლის თავისებურებების გათვალისწინებით ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტირებას სასკოლო გარემოში, აღნიშნულ პროცესში ხორციელდება მშობლის ჩართულობაც. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლას აქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რაც ამარტივებს პირველკლასელების და გადმოსული ახალი მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ისტ-ისა და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. სკოლის შენობაში განთავსებულია მოწესრიგებული სველი წერტილები სართულების მიხედვით. პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით, სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, ორი სპეც. მასწავლებელი და ორი ასისტენტი, რომელიც საჭირო მომსახურებას უწევს სსსმ მოსწავლეებს და ეხმარება სასკოლო ცხოვრების ინტეგრირებაში. სკოლას გააჩნია ექიმის კაბინეტი საჭირო აღჭურვილობით და ყავს კვალიფიციური ექიმი რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უსაფრთხოებას და კეთილდღეობას. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს უქმნის პოზიტიურ განწყობას. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი და დამრიგებლის დებულება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მშობლები ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით იგებენ შეფასებას და საჭიროებისამბერ მასწავლებლებთან გადიან ინდივიდულურ კონსულტაციას, მათგან იღებენ საჭირო ინფორმაციასა და საჭირო უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. მოსწავლის არადამაკმაყოფილებელი საგნობრივი მიღწევების შემთხვევაში სკოლა ადგენს მეცადინეობების განრიგს, რაშიც ასევე ჩართულია კლასის ხელმძღვანელი. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემებს. სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი, რისთვისაც განსაზღვრულია პირველი გაკვეთილი. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელთა ინიციატივების რეალიზებას ხელს უწყობს დირექცია, რომელიც ეხმარება მათ მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარებასა და შემოქმედებითი უნარის გაუმჯობესებაში. სკოლა ჩართულია მუნიციპალიტეტის და რეგიონის მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში, სადაც დიდ წარმატებებს აღწევს. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც ახორციელებს მრავალ პროექტებს, სადაც ჩართული სასკოლო საზოგადოება. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში სკოლამ შეავსო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექცია ხელს უწყობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში. სკოლაში შექმნილია სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელსაც გაწერილი აქვს წესდება და სამოქმედო გეგმა შესაბამისი აქტივობებით. მათ მიერ განხორციელებული პროექტებია ,,ვებრძოლოთ ადიქციას!"; „გადავარჩინოთ გარემო მავნე ნარჩენებისგან", რის ფარგლებშიც მოსწავლეებმა

შეაგროვეს მაკულატურა და მიღებული თანხით შეავსეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. სპორტის მასწავლებელი აქტიურად ახდენს გასვლით ღონისძიებებს/ლაშქრობებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი ბუნებისა და კულტურის ძეგლების შესწავლას და პრეზენტაციების შექმნას. სკოლა აქტიურად არის ჩართული რეგიონლაურ და ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ სპორტულ ღონისძიებებში და ბევრ წარმატებებს აღწევს, რაც სკოლაში წარმოდგენილი ჯილდოებით დასტურდება. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელიც ინიციტივებს ახალისებს სკოლის ადმინისტრაცია. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში უკუკავშირის მიღება ძირითადად ხორციელდება ზეპირი და წერილობითი ფორმით. სკოლის მხრიდან გაცნობიერებულია, რომ უკუკავშირი ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლო სამოქმედო გეგმის შედგენისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებისთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რის მიხედვით გასაზღვრული დაინტერესებულ მხარეთ კომუნიკაცია და მიღებული უკუკავშირის ფორმები, რაც გულისხმობს ვერბალურ და სხვადასხვა ელექტრონული საინფორმაციო არხების საშუალებით უკუკავშირის მიღებას. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტო მასალა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ მომსახურებას სკოლა აქტიურად ანხოციელებს. სკოლის ინიციატივით სკოლაში მოწვეული იყო წარმატებული კურსდამთავრებული, რომელმაც ბავშვებს წარუდგინა პრეზენტაცია სამომავლო პროფესიებთან დაკავშირებით, შეხვედრა წარიმართა ინტერაქციური ფორმატით და დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შავი ზღვის უნივერსიტეტთან, რის ფარგლებშიც მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო პროგრამებს, სადაც რამდენიმე მოსწავლემ სწავლა გააგრძელა სხვადასხვა მიმართულებებით. სკოლამ პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით რამდენიმე ვიზიტი განახორციელა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიულ სასწავლებელში, რის ფარგლებშიც მოსწავლეები გაეცნენ სხვადასხვა პროგრამებს. სკოლაში ასევე ვიზიტით იმყოფებოდნენ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლები და მოსწავლეებს გააცნეს სამხედრო სასწავლებლის სპეციფიკა. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეს სამომავლო პროფესიის სწორად შერჩევაში, დროულად აცნობს სიახლეებს და ელ.ფოსტაზე შემოსული ინფორმაციას. ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლამ მოიწვია წარმატებული კურსდამთავრებულები და უნვერსიტეტის წარმომადგენლები, ასევე განახორციელა ვიზიტი ილია წინამძღვრიშვილის პროფესიულ სასწავლებელში. სკოლა ზრუნავს მოსწავლეების განათლების მუდმივ ხელშეწყობასა და განვითარებაზე, უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლამ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ვიზიტი განხორციელა შავი ზღვის უნივერსიტეტში, სადაც მოსწავლეები გაეცნენ სასწავლო პროგრამებს. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შედეგად მიღებულ შედეგებს. სკოლას ხშირად სტუმრობენ კურსდამთავრებული მოსწავლეები, რომლებმაც სკოლის მიერ მიწოდებული სათანადო ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმეს თავიანთი კარიერა და აირჩიეს მომავალი პროფესია. ისინი საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ესაუბრებიან არჩეულ პროფესიაზე

და აძლევენ რჩევებს. სკოლა აქტიურად ახორციელებს პროფორიენტაციის საჭირო აქტივობებს. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასალები პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით;
- წარმატებული კურსდამთავრებულთან განხორციელებული შეხვედრის ფოტო-მასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ბრძანებით (ბრძ. N83ბ) დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების სამუშაო ჯგუფი, შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და ყველა სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ი.ს.გ გეგმა. სკოლაას ყავს ორი სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ორი ასისტენტი რომლებიც საგნის მასწავლებლებთან და მშობელთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი აღნიშნულ პროცესში. სკოლას მოსწავლეთა ტრანზიციის დებულებაში განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მექანიზმი. სკოლს აქვს ყველანაირი მზაობა მეთოდურად ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდულური სასწავლო გეგმებით მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერაში. სკოლას შექმნილი აქვს ისგ ჯგუფები, რომლებიც წლის განმავლობაში იკრიბებიან რამოდენიმეჯერ და განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მუშაობის სპეციფიკას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და საგნობრივი ცოდნის დაუფლებას, რასაც ადასტურებს მათი ნამუშევრები სხვადასხვა საგნების ფარგლებში რაც წარმოადგინეს სპეციალურმა და საგნის მასწავლებლებმა. სკოლის ადმინისტრაცია მხარს უჭერს სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვას და განვითარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- ისგ გეგმები;
- ტრანზიციის დებულება;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტიურად უზრუნველყოფს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ათი მიმართულებით. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოყოფილია ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს იჯარით გაცემული ფართი სადაც ფუნქციონირებს კვების ბლოკი, რომელიც კეთილმოწყობილია და აკმაყოფილებს სტანდარტებს. სკოლას ასევე იჯარით გაცემული აქვს შიდა სპორტული დარბაზი, სადაც ფუნქციონირებს ფასიანი სახელოვნებო წრე (ცეკვის წრე), რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ამავე სკოლის კურსდამთავრებული. მოსწავლეების ჩართულობა და წარმატებები ამ მიმართულებით ძალიან დიდია, რასაც ადასტურებს უამრავი ჯილდო და სიგელები, რომელიც გამოფენილია დარბაზის ერთ-ერთ ოთახში თვალსაჩინო ადგილას. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კერძოდ მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მძღოლოს ტაბელი;
სასადილო ოთახის ფოტო-მასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2	☒ შეესაბამება

კურიკულუმის განხორციელება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას 2023 წლის 23 ოქტომბრის ბრძ. N90ა დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. წარმოდგენილ დოკუმენტში ასახულია სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მექანიზმი, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლები, ადმინისტრაცია) ფუნქციები, როლი და მნიშვნელობა. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით კათედრებმა შექმნეს კურიკულუმები, სადაც ასახულია საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და გრძელვადიანი მიზნები, რის მიხედვით წარმოდგენილია საკითხები, შემოქმედებითი დავალებების პირობები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, რომლის მიხედვით სასწავლო პროცესი იგეგმება, ვითარდება და ხორციელდება. საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და შესაძლებლოებები, რაც განსაზღვრულია ისგ-ის დოკუმენტით და სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის, ასისტენტების, მშობლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობით. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (ბრძ. N90ა), რის მიხედვით შექმნილია საგნობრივი კურიკულუმები და ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. კათედრის სხდომებზე საგნობრივი სტანდარტების მიხედვით იგეგმება კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები, საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას, რაც დასტურდება საგნობრივ კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებებით, რის მიხედვით შექმნილია მოსწავლეების ნამუშევრები, რომლის მუშაობის პროცესშიც მშობლის ჩართულობაც ხორციელდება, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. შესაბამისად, პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საგნობრივი კურიკულუმებში ასახულია თითოეული მოსწავლის ინტერესი. სსსმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებს სპეციალური მასწავლებლები, საგნის მასწავლებლები და მშობლები. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებითა და მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნაში მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას აქვს პრაქტიკა- სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/მოდიფიცირება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა, რაც გულისხმობს საკითხების, რესურსებისა და შემოქმედებითი ბუნების დავალებების მოდიფიცირებას. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რაც საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და მისი გათვალისწინებით შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ საგნობრივ კურიკულუმებში. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმების შექმნის პროცესში სასკოლო კულტურის ნაწილია. ი **ნდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესში. საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია ელექტრონულად. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N90ა სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედსაბჭოს ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;

- კათედრის სხდომის ოქმები;
- ისგ- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ისგ- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ისგ- დოკუმენტები (საგნების მიხედვით).

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტის შესაბამისია, მოცემული დავალებები არის საინტერესო და მრავალფეროვანი; თუმცა არსებობს მცირედი განსხვავება სხვადასხვა კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს შორის, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება. ასევე, შეინიშნება მცირედი უზუსტობები კურიკულუმის შევსებისას. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ხარვეზი დროულად იქნა გამოსწორებული, რაც დასტურდება დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტაციის განხილვისას. რაც შეეხება საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები არის სრულყოფილი და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **რჩევა:** სასურველია დაწყებით საფეხურზე შეთანხმებულ იქნას და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი, ასევე მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უკვე არსებული კურიკულუმების გადახედვა/გადასინჯვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას, პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი, მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან, გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებზე მუშაობისას ჩართულია სრულად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები,რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის შემოქმედებით პროდუქტის მაგალითებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა და პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე მხოლოდ ორიენტრებულია მოსწვლეთა შედეგებსა და საჭიროებებზე. ამასთან ერთად დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა, არჩევითი საგნები : ამერიკათმცოდნეობა ,მედია წიგნიერება) კათედრის წევრების მიერ შემუშავებული ყველა კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს

	მოსწავლეზე ორიენტირებულ და მის ინტერესებზე, პროცესის, დაგეგმვასა და განვითარებაზე მორგებულ გზამკვლევს. ფოკუსირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე. ინდივიდუალური მიდგომებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში. ამის დასტურად შეიძლება დასახელდეს წარმოდგენილი გრძელვადიანი პროექტის იდეა მე-7 დან მე-12 კლასში ,, კლიმატური ცვლილებები”. **ინდიკატორის 2.1.2.1. მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული** **რჩევა**:. ● სასურველია ყველა კურიკულუმებში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. ● სასურველია არჩევითი საგნის შემთხვევაშიც (ამერიკისმცოდნეობა, მედიაწიგნიერება) არსებობდეს პროექტის იდეა. ● სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩასწორდეს უცხოური ენების კათედრაზე შემავალი საგნების ჩამონათვალი, არ იყო მითითებული ამერიკისმცოდნეობისა და მედია წიგნიერების შესახებ ინფორმაცია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმისა და განვითარების გზას. მისაღწევი შედეგები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მსწავლელთა ყველა ტიპის და მზაობის აქტიურ ჩართვას სწავლა- სწავლების პროცესში. მუსიკისა და ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები მოცემულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების შედეგად მიღებული უკუკავშირით რელევანტურია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან და შევსებულია მართებულად. **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები ქართულ ენასა და ლიტერატურაში შედგენილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა-განვითარებას. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და პედაგოგებთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და შემოქმედებითი დავალებების პირობებს ადგენენ ისე, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება , შუალედური სასწავლო მიზნები მოსწავლეთა

	შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზეა მორგებული და უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს. **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმი არის ესგ-ის შესაბამისი. მოცემულია თემები სამიზნე ცნებები ქვეცნებები და საკითხები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა საჭიროებები და ეს გათვალისწინებულია კურიკულუმის შექმნის დროს. არის შემთხვევები როცა უწევთ პედაგოგებს კურიკულუმის შეცვლა საჭიროებიდან გამომდინარე. კურიკულუმში ჩანს, რომ მუშავდება სამივე სამიზნე ცნება. **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. იგი აგებულია იმგვარად, რომ მთავარი ფოკუსი გადატანილია მოსწავლის საჭიროებაზე, შესაძლებლობასა და ინტერესებზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან და ინკლუზიურ სწავლას. გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ზრდის ჩართულობასა და მოტივაციას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ფიზიკური მომზადება და განვითარების ტემპი. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა, ორგანიზებასა, თვითკონტროლსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ინდიკატორი 2.1.2.1 დადასტურებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა. თითოეული თემა გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე და შესაძლებლობებზე.

	ინდიკატორი 2.1.2.1 დადასტურებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორის 2.1.2.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სამიზნე ცნებებს. სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი სასწავლო რესურსებით. შეინიშნება მასწავლებლების ძალისხმევა და მზაობა, რომ მიაღწიონ სტანდარტის შესაბამის შედეგებს. შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები. ეს ყველაფერი დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ფოტო-მასალიდანაც. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის

	მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევები სამივე საფეხურისთვის:** სასურველია: • კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება; • კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; • ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; • თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები; • კურიკულუმებში მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება; • კურიკულუმებში მიეთითოს ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა; • არჩევით საგანში "გარემო და მდგრადი განვითარება" დაზუსტდეს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; ასევე, მიეთითოს შესაბამისი რესურსი, რასაც ეყრდნობა აღნიშნული საგნის კურიკულუმი.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე, მუშავდება სამიზნე ცნებები:

	ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას., შესაბამისად კურიკულუმი ხელს უწყობს უცხოური ენებისა და არჩევით საგნებში მიღებული გამოცდილება, პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ამას მოწმობს მრავლად შემოთავაზებული კომპლექსური ბუნების მქონე დავალებების ნიმუშები: მაგ: **ინგლისური ენა** : დაწყებითი საფეხური: პრეზენტაცია - ,, საყვარელი სათამაშო",პოსტერი ‘,, საყვარელი ზღაპრის გმირი".(მე - 2კლ) პოსტერი : ,, ზოოპარკში (მე - 3კლ), ,, ჩემი საყვარელი საფეხბურთო კლუბის წევრი, ‘’, ჩემი მეგობარი" (მე - 5 კლ), პოსტერი ,, ჩემი სახლი", მეგობრული წერილი, (მე - 6 კლ). საბაზო საფეხური: პრეზენტაცია ; ,,ჩემს შესახებ" , რომელიმე წიგნის ან ფილმის გამოყენებით ესე ,, თინეიჯერების პრობლემები". (მე- 8 კლ), პრეზენტაცია თემაზე მსოფლიოს ცნობილი, გამორჩეული შენობები (ინფორმაცია, აღწერა და ვიზუალური მასალა ელექტრონულად) , რეკლამის შექმნა : ,, ეწვიეთ ნაკრძალს", (მე - 9 კლ). საშუალო საფეხური: პრეზენტაცია თემაზე ,, ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შესახებ. CV - ის შექმან ინგლისურ ენაზე, გასაუბრების იმიტაცია (მე - 12 კლ). **რუსული ენა:** დაწყებითი საფეხური: ელექტრონული წიგნი „მხიარული ანბანი", პრეზენტაცია ,, ოჯახური ალბომი", (მე - 5 კლ), სიმულაცია საზაფხულო ბანაკში თემაზე ,, გავიცნოთ ერთმანეთი" (მე - 6 კლ) საბაზო საფეხური: პოსტერი თემაზე „ ჩემი არდადეგები" , (მე - 8 კლ) ილუსტირებული პრეზენტაცია თემაზე: „სასკოლო ფორმა, " ტურისტული ბუკლეტი - ,, ჩემი ქალაქის ღირშესანიშნაობები". (მე - 9 კლ)

	საშუალო საფეხური: ესე თემაზე „ჩემი მომავალი პროფესია“. პრეზენტაცია თემაზე „უძველესი და თანამედროვე აღზრდის მეთოდები“ , CV - ისა და რეზიუმეს შექმნა რუსულ ენაზე (მე - 11 კლ).პრეზენტაცია უსახლკარო ბავშვებზე საქართველოში. როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე. **ამერიკისმცდონეობა:** ესე თემაზე ,, რას ნიშნავს იყო ამერიკელი” პრეზენტაცია: ამერიკული კულტურის გავლენა მსოფლიოში (მე - 11კლ) **მედიაწიგნიერება:** დისკუსია: ,, თავისუფლება - პასუხისმგებლობა”, პრეზენტაცია ,, უსაფრთხო ონლაინ ქცევისწესები” , (მე- 11კლ) სკოლა ყურადღებას უთმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა და ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და სწავლის მრავლფეროვან სტილს. **ინდიკატორის 2.1.2.2. მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული** **რჩევა:** ● ინგლისური, რუსული ენის, მედია წიგნიერებისა და ამერიკისმცოდნეობის კურიკულუმში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს სახელმძღვანელოს მასალის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში, ასევე ციფრული სხვა რესურსები, საათების რაოდენობა კი ყველა კურიკულუმშია გასათვალისწინებელი. ● **ინგლისური ენა:** მე - 5 კლასის კურიკულუმში სასურველი ჩასწორდეს შემდეგი: ცნებად მოცემულია - ჟანრი, რაც შეცვლილი უნდა იყოს ცნება ტექსტით, მე - 2 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში საჭიროა ცნებების სწორად ფორმულირება შემდეგნაირად: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება. მე - 4 კლასის კურიკულუმში ცნება კულტურათა დიალოგი სასურველია ამოღებული იყოს, ეს ცნება შემოდის მე - 5 კლასიდან. მე -5 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში სასურველი და საჭიროა ჩასწორდეს ცნებები შემედეგი ფორმულირებით :ტექსი, სამეტყველო ქმდება, ენობრივი საშუალება, კულტურათა დიალოგი.

	ასეევ სასურველია მე - 6 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში დამატებული იქნეს ცნება კულტურათა დიალოგი. ● სასურველია დაწყებით საფეხურზე შემოთავაზებული შემოქმედებითი პროდუქტის იდეები იყოს ჩაშლილი დავალების პირობები. ● მე - 7 და მე - 8 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში სასურველია ჩასწორდეს ცნებების ნაწილი შემდეგნაირად: ჟანრი, ენობრივი საშუალება, სამეტყველო ქმედება კულტურათა დილოგი. ● სასურველია ამერიკისმცოდნეობისა და მედიაწიგნიერების კურიკულუმში კომპელქსური ბუნების ტიპის დავალებები უფრო დაკონკრეტებული და ჩაშლილი იყოს. ● არჩევითი საგნების კურიკულუმებში (ამერიკისმცოდნეობა, მედია წიგნიერება) სასურველია მკაფიოდ ჩანდეს სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები და გრძელვადიანი მიზნები.
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი,საბაზო და საშაულო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა სწავლ-სწავლების პროცესში, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. შემოქმედებითი ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს მოსწავლეების უნარების გამომუშავებას და აქტივირებას, რომელიც ამავდროულად წაახალისებს მოსწავლეს,რომელიც გაცნობიერებს საკითხს,ცნებებსა და მოკლევადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.2.დადასტურებულია**
სახელმწიფო ენა	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ითვალისწინებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. ჩარჩო - დოკუმენტში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების პირობები ისეა შედგენილი, რომ განუვითაროს მოსწავლეებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები, ხელს უწყობს კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. მაგალითად, მე-2 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეაა პერსონაჟისთვის წერილის მიწერა: ,,ლომის წერილი თაგვს"- იაკობ გოგებაშვილის იგავის ,,თაგვი და ლომის" მიხედვით; მე-5 კლასში- მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია დავალების პირობა, რომელიც ავთარებს მათ შემოქმედებით და ანალიტიკურ უნარებს: არჩილ სულაკაურის

	მოთხრობის,,ბიჭი და ძაღლი'' მიხედვით მოიფიქრეთ და დაწერეთ ეპიზოდი,რომელშიც გადმოსცემთ როგორ აღმოჩნდა ნაგაზი ქალაქში, გადაიკითხეთ თქვენი ნამუშევარი მკითხველის თვალით. შეიტანეთ საჭირო შესწორებები და შექმენით საბოლოო ვერსია; მე-7 კლასში- რევაზ ინანიშვილის ,,პატარა ბიჭის ფიქრების" სწავლებისას დავალების პირობაა ჩანახატის დაწერა თემაზე: ,,ჩემი ფიქრები"; მე-11 კლასში- პრეზენტაცია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ. როგორც დასახელებული შემოქმედებითი დავალებების იდეები, ისე კურიკულუმებში გაწერილი სხვა კომპლექსური დავალებების პირობები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.2.დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმები რაც მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა სამივე საფეხურზე ნამდვილად ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმიდან და ინტერვიუებიდანაც გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმში გათვალისწინებულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები თითქმის ყველა საფეხურზე. **ინდიკატორი 2.1.2.2 დადასტურებულია**
სპორტი	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, სწრაფი გადაწყვეტილება, ემპათია, გუნდურობა, პატივისცემა, ჰოლისტური განვითარება, ღირებულებების განვითარება, აქტიური და ჯანმრთელი მოქალაქის ჩამოყალიბებას. და განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 დადასტურებულია**

ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებელს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი 2.1.2.2 დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანეთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი 2.1.2.2 დადასტურებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები არის მრავალფეროვანი, მიზნობრივი, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასა და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. **რჩევა:** სასურველია, ლაბორატორიაში სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისას მასწავლებლებმა აწარმოონ შესაბამისი დოკუმენტაცია. (გეგმა, ოქმი, ანგარიში, შეფასება/თვითშეფასება) **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს შეუწყობს აქტიურ და მოსწავლეთა ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმების შესწავლის და უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მოსწავლეთა სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იყენებენ აქტიურად ბეჭდურ რესურსებთან ერთად ციფრულ რესურსს, რაც კურიკულუმშიც ასახულია, შესაბამისად კურიკულუმში მოცემული ყველა რესურსი ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სუსტი მხარეების დაძლევას, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა პროდუქტიულობის ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას. ამერიკის მცოდნეობისა და მედია წიგნიერების მასწავლებლები, როგორც აღნიშნეს იყენებენ მოსწავლეთა ინერესებზე მორგებულ ბეჭდურ და სხვადასხვა ციფრულ რესურსებს. **ინდიკატორის 2.1.2.3. მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული** **რჩევა:** ● სასურველია ამერიკისმცოდნეობისა და მემდია წიგნიერების კურიკულუმში მოცემული იყოს რესურსების ჩამონათვალი, ● სასურველია ინგლისური ენისა და რუსული ენის კურიკულუმში, სამივე საფეხურისათვის რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, (ზოგან არ არის, სადაც არის ბმული არ იხსნება) ასევე დაკონკრეტებული უნდა იყოს ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, მკაფიოდ არის წარმოდგენილი რესურსები, რაც შესაბამისობაშია მოცემულ თემატურ ერთეულებთან, რომლებიც განაპირობებს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დადასტურებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში პედაგოგების მიერ გაწერილი რესურსები ძირითადად მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და მიზნობრივ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან. დოკუმენტებში სასკოლო სახელმძღვანელოსთან ერთად ასახულია დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები როგორც ტექსტური, ისე სხვა სახის: ილუსტრაციები, გრაფიკული მაორგანიზებლები, ელექტრონული საგანმანათლებლო ლინკები, ანიმაციები, აუდიო და ვიდეო მასალები. (მაგალითად, მე-5 კლასში არჩილ სულაკაურია ,, ბიჭი და ძაღლის სწავლებისას კურიკულულუმში დამატებით რესურსებად მითითებულია მხ.ფილმები ,,ჰაჩიკო'' და ,,ბიჭი და ძაღლი".მე-12 კლასის კურიკულუმში დავით კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვლის" კარგად გააზრებისთვის მასწავლებლები იყენებენ დამატებით მასალად დავით კლდიაშვილის ,,იმერეთს''; ფილმს „სამანიშვილის დედინაცვალი", ასევე , სთავაზობენ მოსწავლეებს ელექტრონულ რესურსებს საშინაო სკოლიდან ლინკების სახით: https://www.youtube.com/watch?v=bM0nGYI-Xb8 https://www.youtube.com გიორგი ლეონიძს ,,ყივჩაღის პაემანის" სწავლებისასაც შემოთავაზებული აქვთ ლინკი: https://youtu.be/N74dUwLDVXQ?si=ERH-T_NZZzn80rt9 ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, უზრუნველყოს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსებით, თუმცა ზოგიერთ კურიკულუმში (მაგ. VI-VII-XI კლასები) რესურსებად მითითებულია მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოები; გარდა ამისა, დამხმარე რესურსები ზოგიერთ შემთხვევაში გაწერილია კონტექსტ- მაგალითებად და არ არის რესურსების ველში ასახული.

	რჩევა: სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ყველა კლასის კურიკულუმების შესაბამის გრაფაში ასახონ დამხმარე რესურსები, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითად რესურსად გამოყენებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას. სახელმძღვანელოები რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში გრიფმინიჭებულია. **ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია**
სპორტი	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელი ცხოვრებისწესის ჩამოყალიბებას და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის განვითარებას, ავითარებს ძირითადი ფიზიკურ უნარებისა და მოტორულ შესაძლებლობას, ამყარებს გუნდური მუშაობის, თანამშრომლობისა და სამართლიანი თამაშის პრინციპებს. ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, თვითდისციპლინასა და მიზანდასახულობას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სტანდარტებით გათვალისწინებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისად. ასევე, სკოლას გააჩნია დამხმარე რესურსები, ბროშურები, პროექტორი და ა.შ.

	ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული, კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეარჩიოს დავალების შესრულების ფორმა. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებები, არის მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრაქტიკა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. მოსწავლეებს

	აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების და მთლიანად საგაკვეთილო პროცესის მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლისთვის და რამდენად ქმნის თითოეული მოსწავლისთვის ინკლუზიურ გარემოს. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომები, პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდ.გეგმის ნიმუშები, კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს,. პედაგოგებმა ისაუბრეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალურ მიდგომასა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითების შესახებ. **ინდიკატორის 2.1. 2.4 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული** **რჩევა:** **ინგლისური ენა** ● სასურველია მე - 4 კლასის ინდ. გეგმაში ჩანდეს კონკრეტული აქტივობები და დროის რა პერიოდებში სრულდება დასახული მოკლე ვადიანი მიზნები. ● მე - 5 კლასის ინდ. გეგმაში სასურველია ერთ თემაზე მეტი იქნეს შეტანილი განსაზღვრული დროის მითითებით. ● მე - 12 კლასის ინდ. გეგმაში ცნება ტექსტი სასურველი შეცვლილი იყოს ცნება ჟანრით. **რუსული ენა**; ● სასურველია მე - 5 და მე - 7 კლასის ინდ. გეგმებში მოცემული იყოს კონკრეტული აქტივობები და აქტივობების შესასრულებლად კონკრეტული დროები.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ნათლად გამოკვეთილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგია და პრინციპები. სსსმ მოსწავლეთა დავალებები მორგებულია მათ შესაძლებლობებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალიწინებულია საგნობრივი სტანდარტით მოცემული სამიზნე ცნებება და მასზე დაყრდნობით შექმნილი ადაპტირებული დავალებები, რაც ქმნის მოსწავლის სრულფასოვან შეფასებას. აქტივობები/აქტივობათა პაკეტი მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს და ამოცანებს, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად დამუშავდეს სტანდარტით მოცემული თემები და გრძელვადიანი მიზნები.

	ინდიკატორი 2.1.2.4. დადასტურებულია
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. დოკუმანტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. ცხადია, რომ სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. ამის დასტურია მე-12 კლასის სსსმ მოსწავლისთვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, რომლებშიც ასევე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ყველა საგანში და გაანალიზებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. აღწერილი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები გვიჩვენებს, რომ პედაგოგთა მუშაობა მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს. გარდა ამისა, შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც გაწერილია სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. წარმოადგინეს ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. **2.1.2.4 დადასტურებულია**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს კერძოდ : · საგანმანათლებლო მიზნები.

	· სასწავლო აქტივობები. · შეფასების სისტემა. · ინკლუზიური მიდგომა. · პრაქტიკული მიმართულება. აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალი საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ მოსწავლისადმი მიდგომა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება. **ინდიკატორი 2.1.2.4 დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4 დადასტურებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და მის შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრება, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია, შესაბამისად, მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მათი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების

	ინსტრუმენტების მიხედვით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. ინტერვიუს დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. **ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში,განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს, რომელშიც მკაფიოდ იკითხება მოსწავლის დონეები, რაც შესაძლებლობას ქმნის მოსწავლის შეფასება მასზე დაფუძნებით განახორციელდეს. **ინდიკატორი 2.1.2.5. დადასტურებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ერთად აქვთ შემუშავებული ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: ესეს, პრეზენტაციის, თხზულების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების, დისკუსიის, აგრეთვე, ჯგუფური მუშაობის. აგრეთვე წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში (მაგალითად: მე-2 კლასში იაკობ გოგებაშვილის ,,ლომი და თაგვის“ სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსურ დავალებასთან ,,პერსონალური წერილის მიწერა ლომის სახელით მეორე პირისთვის“, მიმართებაში; მე- 6 კლასში- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა წერილობითი დავალებისთვის ,,წერილი მეგობარს სოფლიდან“; მე-12 კლასში განამავითარებელი შეფასების რუბრიკები ანალიტიკური ნაშრომის, ესეს და საჯარო გამოსვლისთვის-დავით კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვლის“ სწავლებისას); ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ

	შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	გადმოგზავნილ მასალებში არის როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები სამივე სამიზნე ცნების მიხედვით. ზოგ შემთხვევაში ეს არის ზოგადი შეფასების რუბრიკები. სკოლამ წარმოადგინა შემოქმედებითი ტიპის დავალების და შემაჯამებლის შეფასების რუბრიკები თუმცა სამივე ცნებების მიხედვით არაა შეფასებული. გადმოგზავნილი მასალებიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. **რჩევა**: სასურველი ის შეფასების რუბრიკები რაც სკოლამ ცალკე გადმოაგზავნა გამოიყენონ როგორც შემაჯამებელ დავალებებში ასევე შემოქმედებითი ტიპის დავალებებში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ფიზიკ. აღზრდასა და სპორტის სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები სრულად შეესაბამება თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნებს და ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და განვითარებას კერძოდ: · სწავლების მეთოდები. · აქტივობები.

	· ინკლუზიური მიდგომა. უსაფრთხოების ნორმები. · მოტივაციის ამაღლება. · შეფასება და უკუკავშირი. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი 2.12.5. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შეფასების მეთოდები შეესაბამება ესგ მიზნებს. მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლის ინტერვიუ ცხადყოფს, რომ შეფასების მეთოდების შემუშავებისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინება. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
:**უცხოური ენები:**

- უცხოური ენების კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე , ინგლისური და რუსული ენები. ამერიკისმცოდნეობა, მედიაწიგნიერება.
- პროექტების გეგმა/ნიმუში (ინგლისურ ენა).
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
- სსსმ მოსწვალის გეგმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტები და შეფასების სქემები საგანში „მოქალაქეობა“;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- ფიზ.აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საფეხურის.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში
- კათედრის ოქმი.
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- ღონისძიებების, პრეზენტაციების. ინვენტარის ამსახველი ფოტოები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია.
- პროექტების გეგმა/ანგარიშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა
- ისგ გეგმები
- შეფასების რუბრიკები

- კათედრის სხდომის ოქმები

ესთეტიკური აღზრდა -დასტურდება (მტკიცებულებები):

- საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- პირველადი და ვიზიტის შემდგომი დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაცია

მათემატიკა

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმები
- ინდ. გეგმები
- მოსწავლეთა ნამუშევარი

ტექნოლოგიები

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

სახელმწიფო ენის მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები ;
- კათედრის სხდომების ოქმები;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ჩატარებული ღონისძიებების რეფლექსიები;
- შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში;
- სკოლის სასწავლო გეგმა;

- სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (შეხვედრის ოქმები);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; (XII კლასი)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- ვერიფიკაციის მექანიზმთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*
  -

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, წახალისებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათთან ახალი ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, აქტიურად ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, პროექტები, კონკურსები და ა.შ. შემაჯამებელი დავალებები არის მრავალფეროვანი და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად განხორციელებულია პრაქტიკაში. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურზე უცხოური ენების (ინგლისური,რუსული, ამერიკისმცდონეობა, მედია წიგნიერება მე - 11 კლ.) სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების განვითარებას.

	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროცესის სწორ დაგეგმვას. და აქ განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ესგ- შესაბამისად. გარდა ამისა მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები,დავალების ფორმატები და შეფასების სისტემა უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს რაც ადასტურებს პროცესის შინაარსობრივ შესაბამისაობას. **ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სამივე საფეხურზე, რასაც ამყარებს ინტერვიურების პროცესის დროს მიღებული ინფორმაცია, კათედრა სასწავლო პროცესს წარმართავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო გეგმის ორიეინტირია - მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება. **ინდიკატორი 2.2.1.1. დადასტურებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. ეს კარგად ჩანს სკოლის მტკიცებულებებში. კათედრის სხდომის ოქმებსა და დირექტორის მოადგილის მიერ დაწერილ ანგარიშში აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. (მაგალითად: ვიზიტი დუშეთის რაიონულ ბიბლიოთეკაში, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ,,ხმამაღალი კითხვის დღე“, შეხვედრა მწერალთან და დუშეთის სახალხო მსახიობებთან, საკლასო კონფერენციები: ,,ჩვენი შემოქმედება“, ,,წიგნის სამყაროში“); სასწავლო პროცესზე დაკვირვება სკოლისთვის პრიორიტეტულია, ამიტომ შემუშავებული აქვთ კითხვარები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის, მიღებული უკუკავშირი კი სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. გამოყენებული აქტივობები, მეთოდები და სასწავლო რესურსები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი შეესაბამება სასწავლო კურიკულუმს. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებაზე და ინტერესებზე. სასწავლო პროცესი ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. კოლეგებთან ინტერვიუშიც და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებიდანაც ჩანს, რომ მუშაობენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებზე. **ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის სრული შესაბამისობით. დაგეგმვა ეფუძნება განსაზღვრულ მიზნებს, სტანდარტებსა და შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობასა და ეფექტიანობას. კერძოდ: · სასწავლო მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არის გაწერილი და შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. · გამოყენებული აქტივობები და მეთოდები შერჩეულია კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობაში. · შეფასების სისტემა ასახავს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს. · დაცულია თანმიმდევრობა და ლოგიკური განვითარება კლასიდან- კლასამდე. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეების ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.1 დადასტურებულია**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამის შესახებ მასწავლებლის ინტერვიუშიც გამოიკვეთა. **ინდიკატორი 2.2.1.1 დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. **ინდიკატორი 2.2.1.1 დადასტურებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს სასკოლო საზოგადოების გათვალისწინებით შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავზობს მხარდაჭერას. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რის მიხედვით ახორციელებს შესაბამის აქტივობებს და უმარტივებს მოსწავლეებს სკოლაში ინტეგრირებას. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური და ინდივიდუალური პრობლემების გადასაჭრელად სკოლაში აქტიურად მუშაობს ისგ ჯგუფი, რომელთაც შემუშავებული აქვთ განსახორციელებელი აქტივობები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურ- მატერიალური მასალით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და განხილვა კათედრებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებაც. შესაბამისად, სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-IV) გამოიყენება განმავითარებელი, ხოლო V-VI, VII-XII კლასებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ცოდნისა და უნარების ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას. რუბრიკების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრების ერთობლივი ჩართულობით და მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. წლის განმავლობაში ხდება მათი მოდიფიცირება და მორგება კონკრეტულ საჭიროებებზე. თითოეული მოსწავლისთვის წინასწარ არის ცნობილი თუ რა კრიტერიუმით შეფასდება კონკრეტული დავალების შესრულებისას. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და წარმოდგენილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და სქემები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე. პედაგოგებთან ინტერვიუმ და შეფასების რუბრიკების გაცნობამ გამოკვეთა ის ფაქტი რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, რა მოდიფიცირებას ახდენენ მასწავლებლები შეფასების პროცესში, რას ემსახურება თითოეული შეფასების რუბრიკის კრიტერიუმი.

	გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი, აღსანიშნავია ასევე პედაგოგების ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის საშუალებთაც ხდება პედაგოგთა სამუშაოს/პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთშეფასება. **ინდიკატორის 2.3.1.3 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია საფეხურის განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისათვის - სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისთვის და მუსიკისთვის. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო. რუბრიკები მორგებულია კომპლექსურ/შემოქმედებით ტიპის დავალებებზე და ასევე საშუალებას გვაძლევს მიმდინარე შეფასების პროცესში იყოს გამოყენებული. რუბრიკები სრულად მორგებულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს, როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითერებლ შეფასების სისტემისათის, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დადასტურებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა იყენებს განამვითარებელ შეფასების რუბრიკებს ყველა კლასში, ხოლო განმსაზღვრელ შეფასებას V კლასიდან. სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები თემებთან მიმართებაში,სამიზნე ცნებების შესაბამისად (მაგალითად, მე-6 კლასში, მე-12 კლასში შემოთავაზებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასებები); მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ გამოუგზავნია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა დოკუმენტიდან (კათედრის სხდომების ოქმები, კათედრის ანგარიში, შეფასების ვერიფიკაციით) დგინდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას მიზნობრივად და პედაგოგები ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს; **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	შეფასების სისტემა უზრუნველფოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ცოდნისა და უნარების ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შეფასება არის ვალიდური, სანდო. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეები იცნობენ თუ როგორ შეფასდება მათი ნაშრომი. სკოლამ ცალკე წარმოადგინა ნიმუშის სახით შეფასების რუბრიკები სამივე სამიზნე ცნების მიხედვით **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე,სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სწორად და სრულყოფილად შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას,**ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის მიერ მოწოდებულ რუბრიკებში ნათლად იკვეთება ეს ყოველივე. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით.

	ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 დეკემბრის ბრძ. N2-38 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. ვერიფიკაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები კათედრები, რის მიხედვით აქტიურად ხორციელდება ურთიერთდასწრებები და შესაბამისი რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რისი მტკიცებულებებიც სკოლამ წარმადგინა კონკრეტული საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. ამრიგად, ი**ნდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით მასალები შენახული და დაცულია სკოლის არქივში. ამრიგად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები (ქიმია, მათემატიკა, რუსული);
- გაკვეთილზე დაკვირვების სქემა;

- ბრძანება N2-38 მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- მშობელთა კრების ოქმი.

უცხოური ენები;

- უცხოური ენების კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე , ინგლისური და რუსული ენები. ამერიკისმცოდნეობა, მედიაწიგნიერება.
- პროექტების გეგმა/ნიმუში (ინგლისურ ენა).
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა
- სსსმ მოსწვალის გეგმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმები

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტები და შეფასების სქემები საგანში „მოქალაქეობა“;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- ფიზ.აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საფეხურის.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში
- კათედრის ოქმი.
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

- ღონისძიებების, პრეზენტაციების. ინვენტარის ამსახველი ფოტოები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია);
- ბრძანება N2-38 მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ისგ გეგმები;
- მშობელთა კრების ოქმი.

მათემატიკა

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმები
- ინდ. გეგმები
- მოსწავლეთა ნამუშევარი

ესთეტიკური აღზრდა

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განხორციელებული პროექტები
- სსსმ მოსწავლეების ინდ .გეგმები
- პირველადი და ვიზიტის შემდგომი დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაცია

ტექნოლოგიები

- საგნობრივი კურიკულუმები

- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

სახელმწიფო ენის მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები ;
- კათედრის სხდომების ოქმები;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ჩატარებული ღონისძიებების რეფლექსიები;
- შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში;
- სკოლის სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (შეხვედრის ოქმები);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; (XIIკლასი)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- ვერიფიკაციის მექანიზმთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც წარდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სწავლების სამივე საფეხურზე სწავლების პროცესში გამოიყენება ის ძირითადი და დამხმარე რესურსი, რომლებიც კურიკულუმითაა განსაზღვრული. მასწავლებლები გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსს, მოდელებს, ილუსტრაციებს, დამხმარე ლიტერატურას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსს, ვიდეო რესურსს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს, რუკებს, პოსტერებს, პლაკატებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა (საშუალო საფეხური)** • სასურველია, არჩევით საგანში "გარემო და მდგრადი განვითარება" დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რის მიხედვითაც მიმდინარეობს სკოლაში აღნიშნული საგნის სწავლება.
უცხოური ენები	უცხოური ენების/ამერიკისმცოდნეობისა და მედია წიგნიერების სწავლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლაში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. ენების სწავლებისას გამოყენებულია თანამედროვე, ასაკსა და ენის დონეზე მორგებული რესურსი,რომელიც უზრუნველყოფს თემატურად თანმიმდევრულ, ინტეგრირებულ ენის განვითარების კომპონენტებს. სწავლებისას აქტიურად გამოიყენება ონლაინ რესურსებიც, რაც საგაკვეთილო პროცესს მრავალფეროვანს ხდის. რესურსად ასევე გამოყენებულია ბარათები, პოსტერები, აუდიომასალა და თემატურად შერჩეული YouTube-ს ვიდეოები, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში. საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებულია როლური თამაშები, პრეზენტაციები, პროექტული სწავლება და დიალოგები, რაც ხელს უწყობს ენის გამოყენების პრაქტიკულ განვითარებას. ამერიკისმცოდნეობისა და მედია წიგნიერების სწავლების შემთხვევაში კი

	ჩანაწერები, ბეჭდური ლიტერატურა, შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ეფექტიანად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში **ინდიკატორის 2.2.2.1 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული** **რჩევა**: ● სასურველია მედია წიგნიერებისა და ამერიკისმცოდნეობის კურიკულუმში მოცემული იყოს რესურსების ჩამონათვალი; ● სასურველია სამივე საფეხურზე უცხოური ენების კურიკულუმში, რესურსების ნაწილში მოცემული იყოს ციფრული რესურსები, ასევე დაკონკრეტებული იყოს ბეჭდური რესურსის კონკრეტული გვერდები თემებთან მიმართებაში.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ეფუძნება გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, სამინისტროს მიერ შემუშავებულ მასალებს (მუსიკა), მრავალფეროვან რესურსებს და ვიდორგოლებს,რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და იმთავითვე მორგებულია თემატურ ერთეულზზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. დადასტურებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. კათედრის მიერ გადმოგზავნილი კურიკულუმების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები, გარდა ძირითადი რესურსებისა (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები), ახორციელებენ სასწავლო პროცესს დამატებითი სასწავლო რესურსების დახმარებით (მაგალითად: იყენებენ დამატებით ტექსტებს, ელექტრონულ რესურსებს, სასწავლო თემებთან შესაბამის ისეთ ვიდეო და აუდიო მასალას, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებს- რუკებს, პლაკატებს, მოდელებს და სხვ), რაც მოსწავლეთა შედეგებსა და მათ ნამუშევრებზე აისახება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ.

	ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სამივე საფეხურის მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და ინტეგრირებული შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. რაზეც პედაგოგებმა ცალკე ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმითა და კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთ ჩართულობას და საკითხიის გააზრებას. **ინდიკატორის 2.2.2.1 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**
სპორტი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლის ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორი 2.2.2.1. დადასტურებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. დადასტურებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითადად, დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის შეხვედრაზე, რის დამადასტურებლადაც სკოლამ წარმოადგინა კათედრის სამუშაო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, ანგარიშები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის 2.2.2.2 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ ვალიდაციის წესს.

	ინდიკატორი 2.2.2.2. დადასტურებულია
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა რომ მნიშვნელობას ანიჭებს, ეს კარგად ჩანს სკოლის სასწავლო გეგმაში. კათედრის სხდომების ოქმებში და კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიაში, თუმცა ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთ კურიკულუმში თემებთან შესაბამისი დამხმარე რესურსები მწირია (მაგალითად, მე-11 კლასში მხოლოდ ორი დამხმარე ტექსტობრივი მასალაა მითითებული) ან საერთოდ არ გვხვდება (VI-VII კლასები); უმრავლეს შემთხვევაში კი მითითებულია სხვადასხვა ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული ლინკები; თვალსაჩინოებები (რუკები, სურათები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ფილმები და სხვ. პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ მათი გამოყენება ხდება მიზნობრივად და შედეგიანად; **რჩევა:** კურიკულუმების სრულყოფისთვის, სასურველია, სკოლამ ყველა კლასის კურიკულუმში გაწეროს დამხმარე ვალიდური საგანმანათლებლო რესურსი, რომელთაც იყენებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კათედრაზე ხდება რესურსების შეჩევა და მათი ვალიდაცია. **ინდიკატორის 2.2.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ნიშნავს, რომ გამოყენებული მასალები წინასწარ არის შერჩეული, შემოწმებული და შესაბამისობაშია როგორც სასკოლო კურიკულუმებთან, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მათზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს

	მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა სწავლის პროცესში ელექტრონული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს შემუშავებულ რესურსებს, ელექტრონული და მატერიალური სახით. **ინდიკატორი 2.2.2.2 დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი 2.2.2.2 დადასტურებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი მიზნობრივი, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობისა და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი მატერიალური რესურსით, სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლაში უცხოური ენების, მედია წიგნიერებისა და ამერიკისმცოდნეობის სწავლება ხორციელდება ისეთი მატერიალური ბაზის პირობებში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და მათთან დაკავშირებული ვიზუალური, აუდიო, წერითი და ელექტრონული რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. საგაკვეთილო პროცესისთვის სკოლა უზრუნველყოფს: ვიზუალური მასალებით (პოსტერები, ბარათები); ციფრული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას (ინტერნეტი, კომპიუტერი/პროექტორი); ინდივიდუალური და წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფას. **ინდიკატორის 2.2.2.3. მოთხოვნა არის დაკამყოფილებული**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა. კათედრა აღჭურვილია ინვენტარით, (დინამიკები, პროექტორი, ლეპტოპი, რეპროდუქციები და ა.შ.ვიზუალური და მატერიალური რესურსები) ,რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ხოლო პედაგოგს აძლევს საშუალებას საინტერესოდ და მრავლაფეროვნად წარმოაჩინონ შესასწავლი თემა/საკითხი. **ინდიკატორი 2.2.2.3. დადასტურებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლას უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურას კონკრეტული პედაგოგები ასწავლიან, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე - სხვა პედაგოგები, თუმცა ისინი სისტემატიურად თანამშრომლობენ და ერთმანეთს უთანხმებენ ყველა საჭირო საკითხსა თუ რესურსს. **ინდიკატორი 2. 2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი არის სახელმძღვანელოები ასევე სხვადასხვა საშუალებები. სკოლას აქვს საშუალება უზრუნველყოს მოსწავლეები პროექტორით, პრინტერებით და კომპიუტერებით, რაც იძლევა დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას. **ინდიკატორის 2.2.2.3 მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით და სრულად გათვალისწინებული მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობა. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარითა და

	ინფრასტრუქტურით, რაც იძლევა შესაძლებლობას თითოეულ მოსწავლეს აქტიურად და უსაფრთხოდ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ასევე სკოლა აქტიურად მიმართავს პროექტულ სწავლებას. ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, მოძრავ თამაშებში, სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე, რესურსები,პრეზენტაციები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსით და ინვენტარით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3 დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი 2.2.2.3 დადასტურებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. თუმცა ერთი მასწავლებელი, რომელსაც სპორტის გამოცდა ჩაბარებული აქვს, არ აქვს გავლილი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელსაც ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავს. სკოლაში სულ არის 46 მასწავლებელი, 7 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მაწავლებელი. სკოლაშ დასაქმებულ პედაგოგებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული აქტივობები და შეაფასონ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლაში არსებობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ტექნიკურ- მატერიალური ბაზით, სადაც სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტები საგნის მასწავლებელთან ერთად ახდენენ სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებით მხარდაჭერასა და რესურსების მიზნობრივად გამოყენებას. სკოლა უზრუნველყობს მოსწავლეებისთვის კომპიუტერული ლაბორატორიით ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაში. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი და ბიბლიოთეკა. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უცხოური ენები:

- უცხოური ენების კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე , ინგლისური და რუსული ენები. ამერიკისმცოდნეობა, მედიაწიგნიერება.
- პროექტების გეგმა/ნიმუში (ინგლისურ ენა).
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
- სსსმ მოსწვალის გეგმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტები და შეფასების სქემები საგანში „მოქალაქეობა“;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- ფიზ.აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საფეხურის.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში
- კათედრის ოქმი.
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- ღონისძიებების, პრეზენტაციების. ინვენტარის ამსახველი ფოტოები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია);
- ისგ გეგმები;
- მშობელთა კრების ოქმი.
- მოსწავლეთა ნამუშევრების ამსახველი ფოტო მასალა

ესთეტიკური აღზრდა

- საგნობრივი კურიკულუმები
- ფოტომასალა სასწავლო სივრცეებიდან
- კურიკულუმში გაწერილი სასწავლო რესურსები
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განხორციელებული პროექტები
- სსსმ მოსწავლეების ინდ .გეგმები
- პირველადი და ვიზიტის შემდგომი დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაცია

მათემატიკა

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმები
- ინდ. გეგმები
- მოსწავლეთა ნამუშევარი; სასწავლო ელექტრონული რესურსები

ტექნოლოგიები

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებლების ანალიზი
- მოწოდებული ფოტომასალა

სახელმწიფო ენის მტკიცებულებები:

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები.
- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმა.
- მოსწავლეების , მასწავლებლების და მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარები.
- შემოქმედებითი დავალებების იდეები ;
- ვერიფიკაციის მექანიზმთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- კათედრის ანგარიში;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*
  -

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლა 2023 წლის 23 ოქტომბრის ბრძ. N90ა შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რაც ხორციელდება კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით, უკუკავშირითა და რეკომენდაციებით. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, ხარისხის ჯგუფის მონიტორინგით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების გამოყენებით, კათედრების ანგარიშებით, მშობლების გამოკითხვით. აღნიშნულ პროცესში ასევე ჩართული არის ისგ ჯგუფის წევრები. შესაბამისად, სკოლის მიერ მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით ახდენს პრობლემების გამოკვეთას, საჭიროებების დადგენას. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. ერთის მხრივ კათედრებზე ურთიერთდასწრებებით და გამოცდილების გაზიარებით, ასევე მშობლების ჩართულობით რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. რაც საბოლოო ჯამში ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილზე დაკვირვების სქემა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ხარისხის ჯგუფის მასალები;
- მშბელთა კრების ოქმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ერთიანი, სისტემური მიდგომით და ჰოლისტურად. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ შემოქმედებითი ტიპის პროდუქტებს (კედლის გაზეთები, პოსტერები, მაკეტები, პრეზენტაციები ...), პროექტებს და სხვა. შეფასების პროცესებში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება: დირექცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. **ამრიგად, ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა მექანიზმის მიხედვით. კერძოდ, კათედრებზე აქტიურად ხორციელდება ურთიერთდასწრებები, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკუკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით-ჰოლისტურად დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. ასევე მშობლებს საშუალება გააცნონ სკოლას თავიანთი მოსაზრებები მათი შვილის საჭიროებების მიხედვით. შესაბამისად, სკოლას აქვს პრაქტიკა მრავლფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი და მოსწავლეთა შეფასება. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, გაკვეთილის რეფლექსიები, მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები და სხვ. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება და უკუკავშირის გაცემა, რომელიც აჩვენებს მოსწავლეებში სააზროვნო უნარებისა და საგნობრივი ცოდნის განვითარებას. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებასთან ერთად მის პიროვნულ განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, გარემო. რაც საგნობრივი კომპეტენციის შეფასების პარალელურად ახდენს მოსწავლის პიროვნული განვითარების შესწავლას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეების ისგ;
- ისგ სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ხარისხის ჯგუფის მასალები;
- გაკვეთილის რეფლექსიები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*
  -

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესი. სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების აქტიურ ჩართულობასა და გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მიხედვით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას რაც სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყობს. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების ფუნქცია- მოვალეობები, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებსა და აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ქმნიან საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 04.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: